



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარისი

გარისი, სოფელი ისტორიულ ქვემო ქართლში, მდ. ხრამის შენაკადის ჭივჭავისწყლის მარცხ. ნაპირას. ცნობილია როგორც ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ მეფე ლუარსაბ I-ის უკანასკნელი, გმირული ბრძოლის ადგილი (იხ. გარისის ბრძოლა 1556). ქართ. წყაროების მიხედვით, გ. XVII–XVIII სს-შიც არსებობდა. გ-ის ძირითადი მებატონეები იყვნენ აბაშიშვილები (ბარათაშვილების განაყოფი შტო). 1699 ქართლის კათოლიკოსმა იოანე დიასამიძემ მანგლელ ეპისკოპოსს, გაბრიელ ჯავახიშვილს, სამწყსოდ მისცა ალგეთის გაღმა (ე. ი. სამხრ-ით) მდებარე სოფლები, მ. შ. გ-ც. თაყაიშვილი ექვთიმე ექვთიმე თაყაიშვილმა ისტორიულ გარისში მიაკვლია ეკლესიის ქვას, რ-ის მხედრული წარწერიდან ირკვევა, რომ 1701 გ-ში წმ. იოანე მახარებლის სახელზე ეკლესია აუგია ქაიხოსრო აბაშიშვილს და მის მეუღლეს თინათინ ამირეჯიბს. XIX ს. I ნახევარში უკვე გაპარტახებული გ. ეკუთვნოდა ორბელიანი მანანა|მანანა ორბელიანს. შემდეგ მომთაბარე თურქმანულმა ტომებმა ამ ადგილს „აღ-ბულახი“ („თეთრი წყარო“) დაარქვეს. 1847 გ., ანუ „აღ-ბულახი“ სამხ. უწყებამ შეიძინა და „ბელი-კლიუჩი“ უწოდა. ახლანდ. მუნიციპალური ცენტრი თეთრი წყარო სწორედ ისტ. გ-სა და მის მომიჯნავე ტერიტორიებს მოიცავს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ი., ალგეთი (თეთრწყაროს ისტორიული ძეგლები), თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი
